ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

მოსახლეობის გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:	060601

ქვეპროგრამის დასახელება:

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2019 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	48 000
სულ ბიუჯეტი:	48 000

ქვეპროგრამის მიზანი:

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების დამატებითი მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის აღწერა:

100 წელს გადაცილებულ მოქალაქეების ერთჯერადი მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებს 2002 წლიდან, რაც ითვალისწინებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარების გაწევას. ქვეპროგრამა აქტუალურია იმითაც, რომ აღნიშნულ მოქალაქეთა უმრავლესობა განიცდის ეკონომიურ სიდუხჭირეს და მისი განხორციელება ხელს შეუწყობს მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარება გაიცემა სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან წარმოდგენილი სიების საფუძველზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ერთჯერადი მატერიალური დახმარება - 1000 ლარის ოდენობით ბენეფიციარს ჩაერიცხება საბანკო ანგარიშზე. ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით ისარგებლებენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობითა და მატერიალური დახმარების გაცემის პერიოდისათვის უწყვეტად რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება	48	1 000	48 000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			48 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
მოქალაქეთა სიების გამოთხოვა მუნიციპალიტეტების გამგეობებიდან და მერიიდან	X			
წარმოდგენილი სიების გადამოწმება	X	X	X	X
თანხის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

100 წელს გადაცილებული მოქალაქეების სოციალური დახმარება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
100 წელს გადაცილებული მოქალაქეების სოციალური დახმარება	100 და მეტი წლის მოქალაქეების რაოდენობა	48	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სსიპ საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალიდან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიცი-პალიტეტების გამგეობებიდან და თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მერიიდან გამოთხოვილი მოქალაქეთა სიები